ხელშეკრულება

მონაცემების მიწოდების თაობაზე

სსიპ - „შემოსავლების სამსახურსა“ და სსიპ - „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ შორის

ქ. თბილისი 6 მაისი 2015 წელი

ერთი მხრივ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ სსიპ – „სოციალური მომსახურების სააგენტოსათვის“ (შემდგომში – „სააგენტო“) წარმოდგენილი დირექტორის ბატონი ზაზა სოფრომაძის სახით, და

მეორე მხრივ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ – „შემოსავლების სამსახური“ (შემდგომში – „სამსახური“), წარმოდგენილი სამსახურის უფროსი ბატონი **გიორგი თაბუაშვილის** სახით,

შემდგომში ერთობლივად წოდებული მხარეებად.

ვხელმძღვანელობთ „პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტის; „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის „გ“ და „ზ“ ქვეპუნქტების; საქართველოს საგადასახადო კოდექსის 39-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ო“ ქვეპუნქტის; „სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 დეკემბერის N758 დადგენილების პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და ამ დადგენილებით დამტკიცებული სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიის“ პირველი მუხლის მე-2 პუნქტის; „ქვეყანაში სიღატაკის დონის შემცირებისა და მოსახლეობის სოციალური დაცვის სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 24 აპრილის N126 დადგენილების პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და ამავე დადგენილებით დამტკიცებული „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზის ფორმირების წესი“ მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და ამავე დადგენილებით დამტკიცებული „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზის ფორმირების წესის“ მე-10 მუხლის 1^1 პუნქტის და მე-12 მუხლის 1^1 პუნქტის; „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის N190/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის და მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წინამდებარე ხელშეკრულებით თანხმდებიან შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ რეგისტრაციის მაძიებელი

და/ან რეგისტრირებული ოჯახების შემადგენლობაში არსებული (შემავალი) ფიზიკური პირების შესახებ „სამსახურის“ მიერ წარმოებულ ბაზებში დაცული ინფორმაციის (მონაცემების) მიწოდება „სააგენტოსათვის“, რაც უკავშირდება „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზის“ ადმინისტრირებას.

1.2. „სამსახურის“ მიერ „სააგენტოსათვის“ ამ მუხლის 1.1. პუნქტით გათვალისწინებული მონაცემების მიწოდება ხორციელდება ელექტრონული ფორმით, მხარეთა მიერ დამატებით შეთანხმებული პირობების შესაბამისად.

2. მხარეთა უფლებები და ვალდებულებების

2.1. საქართველოს კანონმდებლობისა და წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში „სამსახური“ კისრულობს ვალდებულებას:

2.1.1. მხარეთა მიერ შეთანხმებული პერიოდულობით და პირობებით, ხელშეკრულების 1.1. პუნქტით გათვალისწინებული პირების შესახებ „სააგენტოს“ მიაწოდოს ინფორმაცია:

2.1.1.2. დამქირავებლ(ებ)ის მიერ საანგარიშო პერიოდ(ებ)ის მიხედვით განაცემებისა და დაკავებული გადასახადების შესახებ წარდგენილი ინფორმაცია;

2.1.1.3. საშემოსავლო გადასახადის წლიური დეკლარაციის მიხედვით ერთობლივი და დასაბეგრი (მიღებული) შემოსავალის შესახებ;

2.1.2. უზრუნველყოს „სააგენტოსათვის“ მიწოდებულ და საკუთარ ელექტრონულ ბაზაში დაცულ ინფორმაციას შორის სისწორე;

2.1.3. მაქსიმალურად შეუწყოს ხელი და არ დაუშვას რაიმე დაბრკოლების შექმნა „სააგენტოსათვის“ მონაცემების მიწოდების დროს, გარდა მოქმედი კანონმდებლობით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა;

2.1.4. საჭიროების შემთხვევაში, გამოყოს „სააგენტოსთან“ საკონტაქტო პირი;

2.1.5. დროულად განიხილოს „სააგენტოს“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც უკავშირდება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ურთიერთობებს;

2.1.6. ხელშეკრულების 2.1.1. პუნქტით გათვალისწინებული მონაცემების მიწოდების შემდეგ, მასში ცვლილების შეტანის შემთხვევაში დაუყოვნებლივ მიაწოდოს „სააგენტოს“ ინფორმაცია განხორციელებული ცვლილების თაობაზე.

2.2. „სამსახური“ უფლებამოსილია:

2.2.1. შეაჩეროს მონაცემების მიწოდება „სააგენტოსათვის“ თუ ეს განპირობებულია მისი ტექნიკური ინფრასტრუქტურის ცვლილების და/ან არსებული ხარვეზის გასასწორებლად, რის თაობაზეც წერილობით აცნობებს „სააგენტოს“;

2.2.2. შეწყვიტოს მონაცემების გაცემა, თუ მისთვის ცნობილი გახდა „სააგენტოს“ მიერ 2.1.1. პუნქტით გათვალისწინებული მონაცემების არამიზნობრივად გამოყენების ფაქტები;

2.3. საქართველოს კანონმდებლობისა და წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში „სააგენტო“ კისრულობს ვალდებულებას:

2.3.1. ხელშეკრულების 2.1.1. პუნქტით გათვალისწინებული მონაცემები (ინფორმაცია) გამოიყენოს მხოლოდ მოქმედი კანონმდებლობით მისთვის დაკისრებული ფუნქციების შესრულების მიზნით;

2.3.2. არ დაუშვას მიღებული ინფორმაციის გადაცემა სხვა მესამე პირზე, ან ნებისმიერი სხვა ფორმით გამჟღავნება, გარდა მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა, წინააღმდეგ შემთხვევაში, სრული პასუხისმგებლობა ეკისრება „სააგენტოს“;

2.3.3. „სამსახურის“ მიერ მოწოდებულ მონაცემებში არ შეიტანოს რაიმე ცვლილება და/ან კორექტირება;

2.3.4. საჭიროების შემთხვევაში, გამოყოს „სამსახურთან“ საკონტაქტო პირი;

2.3.5. დროულად განიხილოს „სამსახურის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც უკავშირდება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ურთიერთობებს;

2.3.6. შესაძლებლობის ფარგლებში ხელი შეუწყოს „სამსახურს“ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაში.

2.4. „სააგენტო“ უფლებამოსილია:

2.4.1. მოთხოვოს „სამსახურს“ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მონაცემების (ინფორმაციის) დროული მიწოდება, მხარეთა შორის შეთანხმებული პირობების შესაბამისად;

2.4.2. გამოიყენოს მოწოდებული ინფორმაცია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით.

3. მხარეთა პასუხისმგებლობა და დავის გადაწყვეტის წესი

3.1. ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

3.2. თითოეული მხარე ვალდებულია აუნაზღაუროს მეორე მხარეს მიყენებული ზიანი, რაც უკავშირდება მხარის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით.

3.3. მხარეთა შორის სადავო საკითხები წყდება მოლაპარაკების გზით, შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში - დავას განიხილავს სასამართლო.

4. ფორს-მაჟორი

4.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე საომარი მოქმედებები თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, ფორს-მაჟორის გამომწვევ გარემოებათა დასრულებამდე.

4.2. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში აცნობებს ხელშეკრულების სხვა მონაწილეებს ვალდებულების შეუსრულებლობის მიზეზებს და მათი შესრულების მოსალოდნელ თარიღს, რის შემდეგაც, ნაკისრი ვალდებულებების შესრულება შეიძლება გადაიდოს ფორს-მაჟორის გაგრძელების ვადით ან ხელშეკრულება შეწყდეს მხარეთა შეთანხმებით.

5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა, ცვლილებების და შეწყვეტის პირობები

5.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს განუსაზღვრელი ვადით.

5.2. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეცვლა დასაშვებია მხარეთა ერთობლივი წერილობითი შეთანხმებით.

5.3. ხელშეკრულების თითოეული მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება შეწყვეტის თარიღამდე 10 (ათი) კალენდარული დღით ადრე წერილობითი შეტყობინების ხელშეკრულების მეორე მხარისათვის გაგზავნის გზით.

6. სხვა პირობები

6.1. მხარეები ხელმძღვანელობენ ურთიერთპატივისცემის პრინციპით და თანამშრომლობის გაღრმავების სურვილით.

6.2. ხელშეკრულების მხარეები ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას და ღირსებას.

6.3. მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია. კონფიდენციალობის დარღვევად არ ჩაითვლება შემთხვევა, როდესაც ინფორმაციის გამჟღავნება წარმოადგენს კანონის ან კანონის საფუძველზე ხელისუფლების რომელიმე ორგანოს მიერ გამოცემული აქტის მოთხოვნას.

6.4. ხელშეკრულების მხარეებს არა აქვთ უფლება გააკეთონ განცხადება მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების ვერ ან არ შესრულების, მისი შესრულებისას დარღვევების და ა.შ. შესახებ თუ არ მოხდა შესაბამისი ფაქტების დადასტურება.

6.5. წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში მხარეთა შორის ინფორმაციის გაცვლა, შეტყობინების გაგზავნა და ა. შ. შესაძლებელია განხორციელდეს როგორც წერილის გაგზავნით, ისე ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

6.6. ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის/ქვეპუნქტის გაუქმება/ბათილობა არ გამოიწვევს მთლიანად ხელშეკრულების გაუქმებას/ბათილობას, თუ იგი დაიდებოდა ასეთი გაუქმებული/ბათილი პუნქტის/ქვეპუნქტის გარეშეც.

6.7. წინამდებარე ხელშეკრულება გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით. წინამდებარე ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

6.8. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია 4 (ოთხი) ფურცლად, 2 (ორი) ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, რომელთაგან თითოეულს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა. ხელშეკრულების თითო ეგზემპლარი ინახება მხარეებთან.

7. მხარეთა რეკვიზიტები

„სამსახური“	„სააგენტო“
სსიპ – „შემოსავლების სამსახური“	სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტო“
ქ. თბილისი, ვ. გორგასლის ქ. N16	ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი N144
საიდენტიფიკაციო კოდი N204525585	საიდენტიფიკაციო კოდი N202178927
გიორგი თაბუაშვილი	ზაზა სოფრომაძე
სამსახურის უფროსი	დირექტორი